ფონდი ოპისი ბრიტი ფურცელი

287 Опись № 1 175

287 Опись № 1 ед. хр. 175

ЦГИА ГССР
Центрального Государственного Исторического Архива Грузии

დასკანირებულია
16.01.2025

წერილები ლიტერატურულ საკითხებზე

11/VIII

„ლიტ. გაზ." 1961 №33

„საბჭოთა მწერალმა" ახლახანს ჩვენს მკითხველს მიაწოდა აკაკი თოფურიას წიგნი „წერილები ლიტერატურულ საკითხებზე", ავტორის ყურადღების სფეროშია ლიტერატურის თეორიის, თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრებისა და წარსულის კლასიკური მემკვიდრეობის შესწავლის აქტუალური საკითხები. ეს ჩანს წიგნში შესული ექვსი წერილის უბრალო ჩამოთვლიდანაც: „სოციალისტური რეალიზმის სათავეების შესახებ", „ლიტერატურული ოსტატობისათვის მებრძოლი პოეტი", „წიგნები, სახეები და შთაბეჭდილებანი", „უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მოვლენების უფრო ღრმად შესწავლისათვის", „ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი (შემოქმედებითი ნათესაობის საკითხისათვის)" და „თაობათა ბრძოლაში გრ. ორბელიანის ადგილის გარკვევისათვის".

თავის თეორიულ წერილში სოციალისტური რეალიზმის სათავეების შესახებ აკ. თოფურია იკვლევს ამ ლიტერატურული მიმართულების გენეზისის საკითხს როგორც ქართულ, ისე საერთოდ საბჭოთა ლიტერატურაში. ჩვენი აზრით, მკვლევარი სავსებით მართებულად ეკამათება იმ ლიტერატურათმცოდნეებს (ან. ტარასენკოვი და სხვები), რომლებიც უგულვებელყოფენ რევოლუციამდელ პერიოდში სოციალისტური რეალიზმის სათავეების ძიების აუცილებლობას და თავის ყურადღებას მხოლოდ 1920-30-იანი წლების საბჭოთა ლიტერატურის მოვლენებზე ამახვილებენ. მკვლევარი სწორად აღნიშნავს, რომ „მაქსიმ გორკი იყო პირველი მწერალი რუსულ ლიტერატურაში, რომელიც საქმით გამოეხმაურა ლენინის მოწოდებას პროლეტარული ლიტერატურის შექმნის შესახებ. და შემთხვევითი როდია, რომ პროლეტარული, სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებელი ნაწარმოები „დედა" იქცა აგრეთვე სოციალისტური რეალიზმის ელემენტების პირველ შემომტანად საბჭოთა ლიტერატურაში" (გვ. 18). ასევე, შეიძლება დავეთანხმოთ აკ. თოფურიას, როცა ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის ელემენტების პირველ შემომტანად იგი ლეო ქიაჩელის ცნობილ რომანს „ტარიელ გოლუას" მიიჩნევს და თავის ამ დებულებას საკმაოდ არგუმენტირებული იდეურ-ლიტერატურული ანალიზით ასაბუთებს. „ტარიელ გოლუა" აქ დახასიათებულია, როგორც „1905 წლის ეპოქის ბრწყინვალედ გამომსახველი, სრულიად ორიგინალური, ეროვნული და დიდი იდეურ-ესთეტიკური მნიშვნელობის ნაწარმოები," მასში, „კრიტიკული რეალიზმისაგან განსხვავებით, ეპოქის სინამდვილე ასახულია მის რევოლუციურ განვითარებაში, პერსპექტივაში, მებრძოლი ოპტიმიზმისა და თავისუფლებისათვის ხალხის ბრძოლის რევოლუციური იდეებით" (გვ. 43).

აკ. თოფურიას ამ საინტერესო წერილს ნაკლოვანი მხარეებიც გააჩნია. ასე, მაგალითად, სასურველი იყო, რომ ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის სათავეების გაშუქება დაკავშირებოდა 900-იანი წლების ლიტერატურის, როგორც პროცესის, განხილვას, რაც აკლია აღნიშნულ წერილს. მაგალითად, აკ. თოფურია არც კი იხსენიებს ირ. ევდოშვილს. ასევე ზედმეტად ჯეტეგორიულია აკ. თოფურიას დებულება, რომ „კრიტიკული რეალიზმი სინამდვილის ასახვაში არ გასცილებია იდეალისტურ-მეტაფიზიკურ კონცეფციას". ამას წინააღმდეგება მარქსიზმის კლასიკოსთა შეხედულებანი დიალექტიკის ელემენტებზე დიდროს „რამოს ძმისწულში", ასევე მათ მიერ ბალზაკისა და გასული საუკუნის ინგლისური რეალიზმის მიღწევათა შეფასება, აგრეთვე თანამედროვე კრიტიკული რეალიზმის განვითარების ზოგიერთი მოვლენები. ეს ყოველივე ამ ლიტერატურული მიმდინარეობისადმი უფრო დაკვირვებულ და დიალექტიკურ მიდგომას მოითხოვს.

საერთოდ აკ. თოფურია თავის წერილებში კრიტიკოსისათვის აუცილებელ კეთილსინდისიერებას ავლენს. იგი ფრთხილია თავის ანალიზში, უმეტეს შემთხვევაში ცდილობს მოერიდოს იმ მყვირალა ეპითეტებსა და ყალბ პათეტიკას, რაც გამოსჭვივის უკანასკნელი პერიოდის ბევრ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილში. ასეთი დაკვირვებული, სერიოზული ლიტერატურული თვალთახედვით არის დაწერილი აკ. თოფურიას სტატია „წიგნები, სახეები და შთაბეჭდილებანი", რომელშიც განხილულია ლ. ქიაჩელის, კ. ლორთქიფანიძის, გ. ნატროშვილის, გრ. ჩიქოვანის, ელ. თორდუას, ს. ტოგოვნისა და ა. ლომიძის ნაწარმოებები. ავტორი ახერხებს გამოკვეთოს თვითეული ამ მწერლისათვის დამახასიათებელი მხატვრული თავისებურებანი და გადმოგვცეს მათი შემოქმედებითი პათოსი.

ორიგინალურია აკ. თოფურიას წერილი „ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი". შემოქმედებითი ნათესაობის საკითხთა დადგენასთან ერთად ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომლის შესახებაც ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარებს დღემდე ვერ დაუდგენიათ ერთიანი აზრი: „როდის, რა გზით, რა ვითარებაში გაიცნო პირველად ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ილია ჭავჭავაძემ?

ამ საკითხის გამოსაკვლევად აკ. თოფურია მიმართავს სხვადასხვა გამოკვლევებს, მემუარებს (კ. აბხაზი და სხვ.), ისტორიულ დოკუმენტებს. მკვლევარი უარყოფს იმ გავრცელებულ ვერსიას, თითქოს ილია ჭავჭავაძე მხოლოდ პეტერბურგში, ეკატერინე ჭავჭავაძის მეშვეობით გაეცნო ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას. აკ. თოფურიას დამაჯერებელი არგუმენტაციით, ილიას ჯერ კიდევ პეტერბურგს წასვლამდე უნდა სცოდნოდა ნ. ბარათაშვილის ლექსები, როგორც ჟურნალ „ცისკრიდან", ისე ზეპირ გადმოცემებით, რის კვალიც აჩნევია მის პოეტურ ქმნილებებს. აკ. თოფურიას აღნიშნული წერილი ცოცხლად დააინტერესებს ილიასა და ბარათაშვილის თაყვანისმცემლებს. იგი მეცნიერულ-ისტორიულ წანამძღვრებს ეყრდნობა.

განსახილველი წიგნი იხურება წერილით, სადაც აკ. თოფურია ცდილობს ახალი კუთხით გააშუქოს გრიგოლ ორბელიანის ადგილი თაობათა ბრძოლაში. რა თქმა უნდა, მისასალმებელია მკვლევარის სწრაფვა იმისაკენ, რათა წინ წამოწიოს ყოველივე პატრიოტულ-პროგრესული გრ. ორბელიანის მოღვაწეობაში. მაგრამ ვერ დავეთანხმებით აკ. თოფურიას, როცა იგი ცდილობს მიჩქმალოს „მამათა" და „შვილთა" შებრძოლების კლასობრივ-სოციალური საფუძველი. ეს ხომ აკ. თოფურიას იმ დებულებასაც ეწინააღმდეგება, რომელსაც თვითონ იგი, რამდენიმე გვერდის დაშორებით, აყენებს წერილში „უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მოვლენების უფრო ღრმად შესწავლისათვის".

აკაკი თოფურიას წიგნი მკვლევარისა და კრიტიკოსის კეთილსინდისიერი შრომისა და ფიქრის ნაყოფია. ზოგიერთი სადავო დებულების მიუხედავად, იგი ჩვენი თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის დონეზე დგას და აფიქრებს მკითხველს მის საჭირბოროტო საკითხებზე.

გ. ბახტაძე

ლ გამოცემებში
ე იკითხება:

დრონი, ნაგებნი
მტკბარად,
განჰკრენ სიზმარებრ
ჩქარად!"

„მტკბარად **ნაგებ-**
აშკარა უაზრობაა:
როგორც „დროის
გები დრო“, ისე
ტკბილად) აგება“,
გები“.

არის ია ეკალაძის
ლ „ანთოლოგიაში“
გრიშაშვილის რედა-
ქმით, შენიშვნებით
ით გამოცემულ ა.
ხზულებებში („ფე-
40), მისივე რედაქ-
დაბეჭდილ პოეტის
საბჭოთა მწერალი“,
საუნჯის“ მე-6 ტო-
ლი“, 1960), საშუა-
თვის განკუთვნილი
სხვადასხვა გამო-
ომძღვანელოებში და
შესახებ დაწერილ
რა უნდა ყოფილიყო
ეგილას? მე მგონია,
დაწერილი ექნე-
“: „მტკბარად ნა-
ადარეთ „ტკბილად
დრო“) გასაგებია,
ბუნებრივი გამო-
(უფრო ბუნებრი-
რომ **„გატარებულ-**
ი, მაგრამ პოეტს ის
შეუცვლია, რადგან
სიტყვას აქ ვერ
ემ-ი (მრავლ. **ნა-**
უფიქსის მოკვეცით
რმაა (უნდა ყოფი-
ბ-ი, მრავლ. **ნაგე-**
ელიც იშვიათად
პოეტს შეეძლო ამ
ცილი, მაგრამ სწო-
ნაშენ-ი და ნაშე-
გამოყენება, რად-
იანი სიტყვა სჭირ-

ს მეცნიერებათა
ნაწერთა ინსტიტუ-
ხელნაწერი (სხვე-
ვს). ერთ ხელნაწე-
არის **„ნაგებნი“**,
585) — **„ნაგემნი“**,
ი (S 2385) — **„ნა-**
რაფი არც ერთი არ
ჩანს, რომელიღაც
აგემნი“ შეცდომით
და მის ადგილას

ქალი“. „სამივემ დაადასტურეს“.
„აქვე დამიხვდნენ კორპორაცია
ბორუსიას სამი წარმომადგენე-
ლი“. „ოპოზიციის 39 წარმომად-
გენელმა პრეზიდენტს გაუგზავ-
ნეს პროტესტი“. „...ორმა ცეცხ-
ლებრ მოლაპარაკე თვალებმა“.
„პირველ 8 ადგილზე გამოსული
მოჭადრაკე მონაწილეობას მიი-
ღებს საიუბილეო ჩემპიონატში“,
(რვა ადგილზე ერთი მოჭადრაკე,
რათქმა უნდა, ვერ გამოვიდოდა).
„ამ სხვადასხვაგვარი მოვლენების
შესწავლა არ შეიძლება ხელს
უშლიდნენ ან **გამორიცხავდნენ**
ერთმანეთს“. „ძველი ქართულის
უძველესი ძეგლების მონაცემთა
ანალიზი დოკუმენტურად **ადას-**
ტურებენ ივ. მეშჩანინოვის ხსე-
ნებული დებულების სისწორეს“.
„ამერიკელ კორესპონდენტებს,
რომლებსაც დავალებული აქვთ
გააშუქონ პრეზიდენტის საქმია-
ნობა მისი ხანმოკლე დასვენების
დროს, **ფიქრობდნენ...**“ „იმ **პი-**
რებს, რომლებსაც სურთ მონაწი-
ლეობა მიიღონ კონკურსში (,)
უნდა **შემოიტანონ** განცხადება“.
„სსრ კავშირის მეცნიერებათა
აკადემიის ყირიმის ასტროფიზი-
კური ობსერვატორიის ასტრო-
ნომთა **ჯგუფი** ვარსკვლავთა ფიზი-
კის განყოფილების გამგის, ფიზი-
კა-მათემატიკის მეცნიერებათა
დოქტორის ვ. ბ. ნიკონოვის ხელ-
მძღვანელობით **დაამთავრა** ახალი
ვარსკვლავის — 1960 წლის ახა-
ლი ჰერკულესის შესწავლის პირ-
ველი ეტაპი“.

ერთ რომანში ნათქვამია, რომ
„მასპინძელმა მსახური იხმო გა-
მოლეული ღვინის მოსატანად“.
„გამოლეული ღვინო“ არ არსე-
ბობს და მას, ცხადია, ვერავინ
ვერ მოიტანდა.

ერთ წიგნში ვკითხულობთ, რომ
„მე-19 საუკუნის ქართული პრო-
ზის ოსტატებმა წინამომდევნოს
ოსტატებთან კავშირი გასწყვი-
ტეს“ (იგულისხმება „წინამომდე-
ვნო საუკუნის“...). **„წინამომდევ-**
ნო“ ავტორის მიერ შეთხზული
უაზრო სიტყვაა.

სამწუხაროდ, ხშირად შეხვდე-
ბით პუნქტუაციურ შეცდომებ-
საც. მე წამიკითხავს ბევრი ლექ-
სი, რომლებშიც სტრიქონების
ბოლოს (სტროფის უკანასკნელი
სტრიქონის გამოკლებით), არის
თუ არ არის საჭირო, მძიმეა და-
სმული, ხოლო სხვა ადგილას, სა-
მძიმე უნდა იყოს, ის არ
სასვენი ნიშნების (მძიმის,

იმას არ ნიშნავ
არც მწერლები
მათ შეცდომა

ზემოთ რომ
ყავდა, ავტორე
სახელებდი (იმ
მათ „ეწყინებ
იმიტომ, რომ
არის მთავარი
რომ ასეთი შე
ხშირია, და არა
რა შეცდომა მ
ყველას მოუვ
უნდა, არც ავტო
სიამოვნო და
ვის (საწყენია
და არა მისი ჩ
ვა). მე მხოლ
რომ მწერლებ
მექცია ენის ნო
შემთხვევებისთ
ლებმა რომ თა
ნეთის ნაწარმ
ხონ და მათ
ბევრ რამეს ნა
არ მოეწონებაო
ბა, თუ ისინი
რიბებიან. ერთ
თავიანთ შენიშ
ბენ ქართული

ყოველი ლ
წარმოები იმა
ენობრივი ძეგლ
შიც ასე თუ ის
განვითარების
გარკვეული მო
ეს სურათი ყო
ლი, სწორი
დამახინჯებული.
უშეცდომოდ, ენ
უმახინჯებლად წ
ტად იმათ მო
ნაწერიც სტამბა
ლებში ვრცელდ
თაობებისთვის
ვინ როდის დაინ
რაც დღეს იბეჭდ
განსაკუთრებით
მა (იმათაც, ვინც
მისი ნაწარმოებე
გაუძლებენ“, დ
სრულებით არა
დი), მეტი და მ
როს არა მარტო
წერს, არამედ
გორ წერს.

I

არასოდეს არ
დენი ქართული
და გაჭეთი, რამე
დება, და არასო
მათ იმდენი მ
რომ ჰყავთ. ქარ

(დასასრულ

... ლისელი ოცდაცხრა

ა. კობლაძაშვილი

ეს ნესმაშნაიას ან
ნობებია. აღნიშნუ
ლერმონტოვს არ შ
ლულისაგან ახსნი
ნობად გარ

ლი სახელები—
ისელი ნაცნო
ობის პროტოტ
აც, გეურგა, რ
თავის მო
დვილში არსებობდა:
ერველმკეთებელი ოს-
) იაგორა ელიაროვი...
ჯახში შემორჩენი-
— ამაზე მიამ-
გეურგას შვილი-
მა მ. ნესმაშნაიამ, —

ნდა იყოს მოხსე-
ეტი“ ანდა ჩაფიქ-

შვილის (ანდრონიკო
გეურგა იგივე იაგორ
ნეალოგიაზე, ქართვე
სი წინაპრებისათვი
გელს. თვით გეურ
თხოვნასა და სხვ